საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/191 „ 21 „ მაისი 2018 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

„თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა, ადმინისტრაციულ საქმეთა და სისხლის სამართლის საქმეთა პალატებში მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის №1/175 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. „თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა, ადმინისტრაციულ საქმეთა და სისხლის სამართლის საქმეთა პალატებში მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის №1/175 გადაწყვეტილებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. აუცილებლობის შემთხვევაში, მართლმსაჯულების განხორციელების შეფერხების თავიდან აცილების მიზნით, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 58[1] მუხლით დადგენილი წესით შერჩეულმა სისხლის სამართლის საქმეთა, ადმინისტრაციულ საქმეთა და სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლემ შესაძლებელია იმავე პალატის სხვა ვიწრო სპეციალიზაციის საქმის განხილვაში მიიღოს მონაწილეობა.“;

ბ) მე-6 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

2. ეს გადაწყვეტილება ვრცელდება მხოლოდ „თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა, ადმინისტრაციულ საქმეთა და სისხლის სამართლის საქმეთა პალატებში მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის №1/175 გადაწყვეტილების ამოქმედების შემდეგ შემოსულ საქმეებზე.

3. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს 2018 წლის 30 მაისიდან.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი